განმარტებითი ბარათი ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის AR1661794 **განცხადებაზე თანდართულ ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამსახურის** MIA 9 19 00340764 09/02/2019. **წერილთან მიმართებაში**

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში 2019 წლის 16 თებერვალს დარეგისტრირდა AR1661794 განაცხადი, მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების მოთხოვნით. აღნიშნულ განაცხადზე თანდართული იყო საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის შეფასება, საექსპერტო დასკვნის სახით.

არქიტექტურის სამსახურის № 4383404 გადაწყვეტილებაზე თანდართულ ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამსახურის MIA 0 19 00467279 22/02/2019 წ. წერილთში დადგენილი ხარვეზის შესახებ განვმარტავთ შემდეგს:

ხარვეზი 1. დაპროექტების დოკუმენტაციაში გათვალისწინებული სახანძრო ჰიდრან-ტები დამონტაჟდეს სავალი გზის გასწვრივ, მისი კიდიდან არაუმეტეს 2,5 მ მანძილზე, მაგრამ შენობის კედლიდან არანაკლებ 5 მ დაცილებით. სახან-ძრო ჰიდრანტები 100მმ ქსელზე ისე უნდა განთავსდეს, რომ მისი საშუალებით შესაძლებელი იქნას ხანძრის ჩაქრობა შენობის ნებისმიერ სათავსში;
საფუძველი: SP 8.13130.2009 პუნქტი 8.6; 8.10.

პროექტით გათვალისწინებულია სახანძრო ჰიდრანტები და მათი მონტაჟი გათვალისწინებულია სავალი გზის გასწვრივ, მისი კიდიდან არაუმეტეს 2.5 მ მანძილზე და შენობის კედლიდან არანაკლებ 5 მ ის დაცილებით. სახანძრო ჰიდრანტების განთავსება ისეა გათვალისწინებული რომ მათი საშუალებით შესაძლებელია ხანძრის ჩაქრობა შენობის ნებისმიერ სათავსში. (იხ. საექსპერტო დასკვნის მე-9 თავი).

წარმოდგენილ პროექტში სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი „ჰიდრანტი“ დატანილია პირობითად. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების 912 ქვეთავის მიხედვით, სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი ჰიდრანტების მდებარეობა შეთანხმებული უნდა იყოს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან. დამკვეთის ინფორმაციით არქიტექტურის სამსახურში პროექტის შეთანხმებისა და სამშენებლო ნებართვის მოპოვების შემდგომ, დამკეთის მიერ განხორციელდება საინჟინრო პროექტების შედგენა, სადაც ჰიდრანტების როგორც რაოდენობა, ასევე ადგილმდებარეობა დაზუსტებული იქნება და შეთანხმებული სახანძრო სამაშველო სამსახურთან.

ხარვეზი 2. სახანძრო ჰიდრანტების, აგრეთვე მათთან მისასვლელი გზების ადგილმდებარეობა აღინიშნოს სახანძრო უსაფრთხოების ნიშანით (მოცულობითი შუქსიგნა-ლიანი ან ბრტყელი, დამზადებ-ული შუქამ-რეკლი საფარის გამოყენებით);

საფუძველი: „ტექნიკური რეგლამენტი სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი.

სახანძრო ჰიდრანტებთან მისასვლელ გზებზე განთავსდება სახანძრო უსაფრთხოების ნიშნები. (იხ. საექსპერტო დასკვნის მე-9 თავი).

ხარვეზი 3. დაპროექტების დოკუმენტაციაში მოცემული მრავალფუნქციურ შენობის “ა“ ბლოკის მიწისქვეშა ავტოსადგომში ჩამავალი ლიფტის შახტებში შესასვლელებში გათვალისწინდეს ტამბურ-რაბის მოწყობა, ხანძრის შემთხვევაში ჰაერის დაწნევით. ტამბურ-რაბის მღობავი კონსტრუქციის ცეცხლმედეგობა მიღებული იქნეს არანაკლებ 45 წუთის, ხოლო ტამბურ-რაბში მოწყობილი ორივე კარების ცეცხლმედეგობა - არანაკლებ 30 წუთის;
საფუძველი: 154.13130.2013 პუნქტი 5.210.

პროექტით „ა“ ბლოკის მიწისქვეშა სართულებში, შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟების დონეებზე ყველა ლიფტს, რომლის კარი 90 წუთიანი ცეცხლმედეგობისაა, გააჩნია დაწნევადი ფოიეები, რომლებიც შემოზღუდულია 1 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით, სადაც 716.5 ცხრილის მოთხოვნათა შესაბამისად მოწყობილია 45 წთ-იანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობები. (იხ. საექსპერტო დასკვნის მე-9 თავი).

ხარვეზი 4. დაპროექტების დოკუმენტაციაში მოცემული მრავალფუნქციურ შენობის “ბ“ ბლოკის -3.30 ნიშნულზე ჩამავალი ლიფტის შახტაში შესასვლელში გათვალისწინდეს ტამბურ-რაბის მოწყობა, ხანძრის შემთხვევაში ჰაერის დაწნევით. ტამბურ-რაბის მღობავი კონსტრუქციის ცეცხლმედეგობა მიღებული იქნეს არანაკლებ 45 წუთის, ხოლო ტამბურ-რაბში მოწყობილი ორივე კარების ცეცხლმედეგობა - არანაკლებ 30 წუთის;
საფუძველი: ტექნიკური რეგლამენტი -123 მუხლი 88 ; პუნქტი

პროექტით „ბ“ ბლოკის -3.30 ნიშნულზე ლიფტს, რომლის კარი 90 წუთიანი ცეცხლმედეგობისაა, გააჩნია დაწნევადი ფოიე, რომელიც შემოზღუდულია 1 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით, სადაც 716.5 ცხრილის მოთხოვნათა შესაბამისად მოწყობილია 45 წთ-იანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობები. (იხ. საექსპერტო დასკვნის მე-9 თავი).

ხარვეზი 5. დაპროექტების დოკუმენტაციაში “ა“ ბლოკის -6.00 ნიშნულზე განთავსებული სატუმბო სადგურის მოწყობა გათვალისწინდეს შენობიდან ცალკე მდგომ სათავსოში, შენობაზე მიშენებულ ან შენობაში ჩაშენებულ სათავსოში, შენობის პირველ სართულზე, ცოკოლის სართულზე ან პირველ მიწისქვეშა სართულზე, სატუმბო სათავსოს უნდა გააჩნდეს დამოუკიდებელი გარეთ გასასვლელი ან იმ კიბის უჯრედში შესასვლელი, რომელიც გარეთ მიემართება.

საფუძველი:SP 5.13130.2009 პუნქტი 5.10.9; 5.10.10.

-6.00 ნიშნულზე განთავსებული სახანძრო ტუმბოებისა და ავზის ოთახი, 913.2.1 ქვეთავის შესაბამისად, ყველა სხვა ფართობისგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით, სადაც 716.5 ცხრილის მოთხოვნათა შესაბამისად მოწყობილია 90 წთ-იანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობები. (იხ. საექსპერტო დასკვნის მე-9 თავი).

ხარვეზი 6. გათვალისწინდეს, რომ შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მიმღებ-საკონტროლო მოწყობილობების მონტაჟი, უნდა მოხდეს სათავსოში, ან შენობის იმ ფართობში, სადაც განხორციელდება მომსახურე პერსონალის ოცდაოთხსაათიანი მორიგეობა.
საფუძველი: SP 5.13130.2009 პუნქტი 12.1.2; 12.2.1.

შენობის ±0.00 ნიშნულზე გათვალისწინებულია, „წესების“ თანახმად ყველა ასეთი ტიპის მაღლივი შენობისთვის საჭირო, ხანძრის მართვის ცენტრი, რომლის გაბარიტები აკმაყოფილებს 911.1.3 ქვეთავის მოთხოვნებს

შენიშვნა: *ხანძრის მართვის ცენტრი უნდა შეესაბამებოდეს NFPA 72-ს და უნდა მოიცავდეს 911.1.5 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა აუცილებელ მახასიათებელს.*

(იხ. საექსპერტო დასკვნის მე-10 თავი).

ხარვეზი 7. დაპროექტების დოკუმენტაციაში მოცემულ შენობის “ა“ ბლოკის +0.00 და +21.45 ნიშნულებზე არსებული საოფისე ფართობებიდან გათვალისწინდეს, საცხოვრებელი ნაწილისგან დამოუკიდებელი შესასვლელები და საევაკუაციო გასასვლელების მოწყობა.
საფუძველი: SP 54.13330.2016 პუნქტი 7.2.15.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებაში არსად არის მითითებული ზემოაღნიშნული მოთხოვნა.
გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.
(იხ. საექსპერტო დასკვნის მე-4 თავი).

რაც შეეხება ხარვეზებს, რომელიც საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამსახურის MIA 0 19 00467279 22/02/2019 წერილშია დადგენილი, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მათ საფუძველს წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მიერ გაცემული SP 4.13130.2013, SP 154.13130.2013, SP 8.13130.2009 და სხვა ნორმათა კრებული, რაც უმეტეს შემთხვევებში განსხვავებულ და ურთიერთ საწინააღმდეგო მოთხოვნებს აყენებს სხვადასხვა ტიპის შენობა-

ნაგებობებისა და მათი შემცველი ნაწილების, ასევე სახანძრო სისტემებისა და ცეცხლისა და კვამლის დაცვის საშუალებების მიმართ.

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.

იმის გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით პროექტის განხილვა და მშენებლობის ნებართვის გაცემა წარმოებს ორი ურთიერთ განსხვავებული და შეუსაბამო ნორმებით, თავის მხრივ კი საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილების მოთხოვნები დაცულია ჩვენს მიერ AR1661794 განაცხადზე თანდართული საექსპერტო შეფასების გათვალისწინებით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ განსაზღვრული მოთხოვნების დავალდებულება (რომელიც რიგ შემთხვევებში შეუსაბამოსბაში მოდის 28.01.16წ. №41-ე დადგენილების მოთხოვნებთან) და მათ განხორციელებაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება ვფიქრობთ, რომ მხოლოდ მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს პრეროგატივაა, თუმცა ასევე გვსურს ყურადღება გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №52 დადგენილების (რომლითაც ხელმძღვანელობს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური) თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ დაშვებულ იქნა 1992 წლამდე მოქმედი სამშენებლო ნორმები და წესები, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტები და მათი ის ნაწილები, რომელთა ალტერნატივა იმ დროისათვის არ არსებობდა საქართველოში ტექნიკური რეგლამენტების სახით. შესაბამისად გაურკვეველია საგანგებო სამსახურის მიერ სხვადასხვა ნორმათა კრებულით სარგებლობის საკითხი, როდესაც ამავე ნორმებს დღეის მდგომარეობით არეგულირებს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვადასტურებთ, რომ №41-ე დადგენილების მოთხოვნები წინამდებარე პროექტით დაცულია და მოიცავს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით გათვალისწინებულ არქიტექტურული პროექტისათვის საჭირო შესაბამის ინფორმაციას, სხვა ნორმათა შესაბამისობის განსაზღვრა და მათი საჭიროება კი უნდა განხორციელდეს და დადგინდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ, შესაბამის კანონმდებლობებზე დაყრდნობით.

დამკვეთის ინფორმაციით არქიტექტურის სამსახურში პროექტის შეთანხმებისა და სამშენებლო ნებართვის მოპოვების შემდგომ, დამკეთის მიერ განხორციელდება საინჟინრო პროექტების შედგენა, რასაც უახლოეს მომავალში წარდგენილი იქნება სახანძრო სამსახურში განსახილველად.

ვიმედოვნებთ, რომ ზემოაღნიშნულ განმარტებებზე დაყრდნობით, აღნიშნული საკითხი თქვენს მიერ განმეორებით გადამოწმებულ და შეფასებული იქნება.

პატივისცემით,

მიხეილ ბუჯიაშვილი